



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„*30*“ „*10*“ 2015 წელი

ეგზ. N1

საქართველოს მთავრობის კანცელარიის (2014 წლის 1 დეკემბრიდან საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაციის) 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტის ანგარიში

ბ/63/00

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძველი.....	3
დებიტორ - კრედიტორები.....	3
ძირითადი აქტივების არასრულად ასახვა.....	4
ცვეთის დარიცხვა.....	5
ფორმა N6-ის წარდგენა	6
საგადასახადო ვალდებულებები.....	6
პირობითი აუდიტორული მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	6
დანართი 1 – 2014 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	7
დანართი 2 – 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	14

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს მთავრობის კანცელარიის (2014 წლის 1 დეკემბრიდან - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის) (შემდგომში „მთავრობის კანცელარია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს **2013 და 2014 წლების 31 დეკემბრის** მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

მთავრობის კანცელარიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4200) შესაბამისად. პასუხისმგებლობა გულისხმობს აუდიტორული პროცედურების იმგვარად წარმართვას, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძველი

დებიტორ - კრედიტორები

2013 და 2014 წლებში მთავრობის კანცელარიის მიერ არ არის ჩატარებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების

შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესის¹ მოთხოვნა, რომლის თანახმად - ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება რეკომენდებულია - წელიწადში ორჯერ მაინც“.

მთავრობის კანცელარიას ერიცხება წინა წლების შემდეგი დებიტორულ - კრედიტორული დავალიანებები:

დასახელება	წარმოშობის თარიღი	31.12.2013	31.12.2014
შპს " მ.ბ.ს."	2008	1,298	1,298
შპს "ესაბი"	2009	3,382	3,382
ბოხუა გიგი	2006	1,722	1,722
ქუნინი დენიელი	2006-2009 წწ	4,968	4,968
კაკულია დავით	2007	3,499	3,499
შპს "უნივერსალური სადისტრიბუციო კომპანია"	2009	(390)	(390)
შპს "თელავის მარანი"	2009	(864)	(864)
		13,615	13,615

აუდიტით გათვალისწინებული პროცედურების ფარგლებში ჩვენ მივიღეთ დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების დასტურის წერილები შესაბამისი ორგანიზაციებიდან. (ხოლო ფიზიკური პირების მიმართ აღნიშნული პროცედურები არ ჩატარებულა, რადგან მთავრობის კანცელარიის განმარტებით - ვერ მოხერხდა ორი დებიტორ ფიზიკურ პირის ადგილსამყოფელის დადგენა, ხოლო ერთმა - დავით კაკულიამ შეტყობინებაზე რეაგირება არ მოახდინა). მიღებული დასტურის წერილებიდან გამომდინარეობს, რომ დებიტორები და კრედიტორი არ ადასტურებენ ზემოთ აღნიშნულ დავალიანებებს, კერძოდ: შპს „მბს“-ის წერილის თანახმად, პირიქით, მთავრობის კანცელარიას აქვს დავალიანება მის მიმართ 24,126 ლარის ოდენობით, რომელიც წერილის მიხედვით წარმოშობილია 2009 წლის 16 დეკემბრიდან - მიწოდებული საქონლის შედეგად. უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებით მიმდინარეობს დავა სასამართლოში²; შპს „ესაბი“-ს წერილის თანახმად ერთმანეთის მიმართ დავალიანება არ ერიცხებათ; შპს „უნივერსალური სადისტრიბუციო კომპანიის“ წერილის თანახმად მის მიმართ კანცელარიის ვალდებულება შეადგენს არა 390 ლარს - არამედ 461 ლარს. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2013 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსში წარმოდგენილი ანგარიშების - „მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“, „მომუშავეთა მიმართ მოთხოვნები“ და „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები“ - ნაშთების სიზუსტისა და სისრულის შესახებ.

ძირითადი აქტივების არასრულად ასახვა

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთავრობის კანცელარიის ფინანსურ ანგარიშგებაში არასრულად და არაზუსტად არის წარმოდგენილი ძირითადი აქტივების მუხლი. მოცემული

¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი

² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 18 მარტის განჩინება, საქმე N28/3903-14

თარიღისათვის ბალანსში არ არის ასახული საქართველოს მთავრობის კანცელარიის და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილების შესაბამისად, 2014 წლის 11 თებერვალს საჯარო რეესტრში სარგებლობის უფლებით დარეგისტრირებული ქ.თბილისში გიორგი ლეონიძის ქ. N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები. ასევე, არ არის ასახული ერთი წლის ვადით ქ.თბილისში³ სარგებლობის უფლებით დარეგისტრირებული თანასაკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო ფართი (1,056 კვ.მ) და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები. ამასთან, 2014 წლის თებერვალში ქ. თბილისში ლეონიძის N3-ში მდებარე ზემოთ ხსენებული ფართის ნაწილი მთავრობის კანცელარიამ შესაბამისი ბუღალტრული ჩანაწერების გარეშე, დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადასცა სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებს:

- ჯამში 766 კვ.მ ფართი, რომელიც 2014 წლის 12 თებერვალს ერთი წლის ვადით უსასყიდლოდ გადაეცა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს;
- ჯამში 633 კვ.მ ფართი, რომელიც 2014 წლის 12 თებერვალს ერთი წლის ვადით უსასყიდლოდ გადაეცა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს;
- ჯამში 270 კვ.მ ფართი, რომელიც 2014 წლის 17 თებერვალს ერთი წლის ვადით უსასყიდლოდ გადაეცა სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს სარგებლობის უფლებით.

მთავრობის კანცელარიას აღნიშნული ქონების შეფასება და ბალანსზე აყვანა არ განუხორციელებია.⁴ ზემოხსენებული ქონება და ქონების ნაწილის სხვა ორგანიზაციებზე გადაცემა - ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერულ პროგრამაში ასახულია ნატურალურ ერთეულებში - ღირებულების გარეშე, რაც არ შეესაბამება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 პუნქტის⁵ მოთხოვნებს.

კანცელარიის განმარტებით - სულხან საბას ქუჩაზე/ლეონიძის ქუჩაზე N 1/5 არსებული შენობა-ნაგებობები მხოლოდ დროებით, რამდენიმე თვით იყო გადაცემული ექსპლოატაციაში. ქონების მართვის სააგენტოში 2014 წლის 30 ივნისს გაიგზავნა N195-ს წერილი ქონების ღირებულებითი მონაცემების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით. 2014 წლის 15 ივლისის საპასუხო N1/151-ს წერილით აღმოჩნდა, რომ სააგენტოს არ მოეპოვებოდა ინფორმაცია ზემოხსენებული უძრავი ქონების საბალანსო ღირებულების შესახებ. რადგანაც აღნიშნული შენობა დროებით სარგებლობით იყო კანცელარიის ბალანსზე, კანცელარიამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯის გაწევა და ღირებულების დასადგენად ექსპერტიზის ჩატარება. შესაბამისად, აღნიშნული შენობა-ნაგებობები აყვანილი იქნა ბალანსზე მხოლოდ რაოდენობით.

ცვეთის დარიცხვა

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივები წარმოდგენილია 42,009 ლარით გაზრდილად (გამორჩენილია ცვეთის დარიცხვა 241 ერთეულ

³ მისამართი: ქ. თბილისი; სულხან-საბას ქ. / გიორგი ლეონიძის ქ. 1/5

⁴ მთავრობის ადმინისტრაციის (კანცელარიის) 2014 წლის 30 ივნისის N195-ს წერილზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 15 ივლისის პასუხიდან გამომდინარე, სააგენტოს - ქონების საბალანსო ღირებულების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მე-5 მუხლის „სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის“ მე-2 პუნქტი „ბუღალტრულ ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს“ და მე-6 პუნქტი „პირველად დოკუმენტებში აღინიშნება შემდეგი რეკვიზიტები: დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, ზომის ერთეული (თუ გააჩნია გაზომვის ფიზიკური ერთეული, რომელთანაც შესაძლებელია ფასების დაკავშირება), რაოდენობა, ფასი, თანხა“

ძირითად აქტივზე), ხოლო, ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შედგენილ ფორმა 2-ში პირიქით, ხარჯები - „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლით შემცირებულია იმავე თანხით, რაც არ შეესაბამება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N436 ბრძანების მოთხოვნებს.

ფორმა N6-ის წარდგენა

„ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების მოთხოვნების მიუხედავად ფორმა N6 წარდგენილია არამართებულად. კერძოდ, სატრანპორტო საშუალებების თითოეული ჯგუფის მიხედვით არ არის წარმოდგენილი საანგარიშო პერიოდში გაწეული საკასო და ფაქტიური ხარჯი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2015 წლის 19 ოქტომბრის N67737 წერილის თანახმად აღნიშნული შეუსაბამობა აღმოფხვრილია და ფორმა N6 წარდგენილია დადგენილი ფორმით.


საგადასახადო ვალდებულებები

2014 წელს სოციალური ქსელის „Facebook“-ის მეშვეობით სარეკლამო მომსახურების ხარჯმა შეადგინა - 15,402 ლარი. „Facebook“-ის სარეკლამო მომსახურება წარმოადგენს არარეზიდენტი საწარმოს მიერ საგადასახადო აგენტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე გაწეულ მომსახურებას და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე და 166-ე მუხლების მიხედვით ექვემდებარებოდა დღგ-ით უკუდაბეგვრას, რაც არ განხორციელებულა. შესაბამისად, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგებაში არაზუსტად არის წარმოდგენილი საგადასახადო ვალდებულებების მუხლი.

პირობითი აუდიტორული მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2013 და 2014 წლების ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხებისა, რეალურად არის წარმოდგენილი ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

წამყვანი აუდიტორი




გურამ ყავლაშვილი

უფროსი აუდიტორი

თეიმურაზ გოდუაძე

აუდიტორი



შალვა ჯავახიშვილი

აუდიტორ-ასისტენტი

რუსუდან აბულაშვილი

დანართი 1 – 2014 წლის ფინანსური ანგარიშგება

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

	2014	2013
აქტივები		
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		
მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	2,847	-
სხვა ანგარიშები ბანკში	57,169	-
სხვა საგადასახადო აქტივი	837	310
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	170,223	239,748
მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1,293,562	-
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	17,049	17,049
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	37,981	-
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	19,956	11,536
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები	1,599,624	268,643
არაფინანსური აქტივები		
სხვა მატერიალური მარაგები	240,020	220,524
შენობა-ნაგებობები	17,870,480	15,595,247
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	4,578,733	2,132,084
სხვა ძირითადი აქტივები	17,180	17,180
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	131,707	45,200
არაწარმოებული აქტივები	15,078,444	15,078,444
სულ არაფინანსური აქტივები	37,916,564	33,088,679
სულ აქტივები	39,516,188	33,357,322
ვალდებულებები და კაპიტალი		
ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტ. დავალიანებები		
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	42,707	11,182
აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3,999	-
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	1,254	1,254
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები	47,960	12,436
კაპიტალი		
წმინდა ღირებულება	39,468,228	33,344,886
სულ კაპიტალი	39,468,228	33,344,886
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	39,516,188	33,357,322

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ბალანსის დანართი ფორმა N2- ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
ხარჯები	11,760,000	26,501,676	25,328,582	25,071,704	25,071,704	25,809,277	737,572
1.1 შრომის ანაზღაურება	6,500,000	6,950,825	6,766,719	6,676,489	6,676,489	6,676,489	-
1.1.1. ხელფასები			6,766,719	6,676,489	6,676,489	6,676,489	-
1.2 საქონელი და მომსახურება	5,117,000	19,276,728	18,479,889	18,315,977	18,315,977	18,226,811	(89,166)
1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება			4,287,360	4,253,530	4,253,530	4,253,408	(122)
1.2.2 მივლინებები			2,750,008	2,682,312	2,682,312	2,584,387	(97,925)
1.2.3 ოფისის ხარჯები			2,094,221	2,092,444	2,092,444	2,447,470	355,026
1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯი			1,029,804	1,029,719	1,029,719	1,090,812	61,093
1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან			93,827	93,827	93,827	50,165	(43,662)
1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები			479,491	479,491	479,491	494,184	14,693
1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			7,745,177	7,684,653	7,684,653	7,306,386	(378,267)
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	827,142	827,141
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	43,000	120,123	54,553	52,197	52,197	51,794	(403)
1.7.1 სოციალური დაზღვევა			54,553	52,197	52,197	51,794	(403)
1.8 სხვა ხარჯები	100,000	154,000	27,421	27,041	27,041	27,041	-
1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	-	-	27,421	27,041	27,041	27,041	-
მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნების შესახებ							
მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით			ბიუჯეტგარეშე			
	გეგმით	ფაქტიურად	გეგმით	ფაქტიურად	გეგმით	ფაქტიურად	
შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა	200	181					
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	70	69					

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ბალანსის დანართი ფორმა N2.1 ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1. არაფინანსური აქტივები	8,240,000	6,567,800	5,306,571	5,300,951	5,300,951
1.1 ძირითადი აქტივები			5,306,571	5,300,951	5,300,951
1.1.1 შენობა-ნაგებობები			3,702,156	3,696,536	3,696,536
არასაცხოვრებელი შენობები			3,702,156	3,696,536	3,696,536
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			1,604,415	1,604,415	1,604,415
სატრანსპორტო საშუალებები			334,469	334,469	334,469
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			1,269,946	1,269,946	1,269,946

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ბალანსის დანართი ფორმა N3 ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

	წმინდა ღირებულება
ნაშთი 31/12/2014	33,344,886
სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(6,676,489)
საქონელი და მომსახურება	(18,226,811)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(827,141)
სოციალური უზრუნველყოფა	(51,794)
სხვა ხარჯები	(27,041)
აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	(162,382)
სხვა ეკონომიკური ნაკადები	(7,817)
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	(1,349)
სულ სადებეტო ბრუნვა	(25,980,824)
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	30,372,655
აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	1,731,168
სხვა ეკონომიკური ნაკადები	342
სულ საკრედიტო ბრუნვა	32,104,165
წმინდა ღირებულების ცვლილება	6,123,341
ნაშთი 31/12/2015	39,468,227

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ბალანსის დანართი ფორმა N5 ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

	მიღება					გასვლა			
არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი 31/12/2014	შესყიდვით	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულიდან უქსაყიდლოდ	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულზე უქსაყიდლოდ	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონლის და მომსახურების გამოყენება	ნაშთი 31/12/2015	
ძირითადი აქტივები									
შენობა-ნაგებობები	15,595,247	2,467,803	-	-	12,060	180,510	-	17,870,480	
არასაცხოვრებელი შენობები	15,595,247	2,467,803	-	-	12,060	180,510	-	17,870,480	
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2,132,083	1,543,585	1,694,863	-	145,168	646,631	-	4,578,732	
სატრანსპორტო საშუალებები	811,085	334,469	472,263	-	87,793	229,307	-	1,300,717	
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	1,320,999	1,209,116	1,222,600	-	57,375	417,324	-	3,278,016	
სხვა ძირითადი აქტივები	17,181	-	-	-	-	-	-	17,181	
არამატერიალური ძირითადი აქტივები	17,181	-	-	-	-	-	-	17,181	
სულ ძირითადი აქტივები	17,744,511	4,011,388	1,694,863	-	157,228	827,141	-	22,466,393	
მატერიალური მარაგები									
სხვა მატერიალური მარაგები	220,524	1,575,149	2,796	342	4,803	-	1,553,959	240,019	
ფულადი დოკუმენტები	11,770	293,333	-	-	-	-	297,505	7,598	
სათადარიგო ნაწილები	30,887	-	2,000	-	-	-	-	32,887	
სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	177,867	1,281,816	796	342	4,803	-	1,256,484	199,534	
სულ მატერიალური მარაგები	220,524	1,575,149	2,796	342	4,803	-	1,553,989	240,019	
სულ გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	45,200	255,341	33,509	-	351	-	201,991	131,708	
არაწარმოებული აქტივები									
მიწა	15,078,444	-	-	-	-	-	-	15,078,444	
სულ არაწარმოებული აქტივები	15,078,444	-	-	-	-	-	-	15,078,444	
სულ არაფინანსური აქტივები	33,088,679	5,841,878	1,731,168	342	162,382	827,141	1,755,980	37,916,564	

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ბალანსის დანართი ფორმა N5-1 ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოგება ფლობიდან კრედიტი (8100)	ზარალი ფლობიდან დებეტი (8100)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა კრედიტი (8200)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება დებეტი (8200)
ფინანსური აქტივები				
<i>ვალუტა დეპოზიტები</i>	-	7,817	-	-
სულ ფინანსური აქტივები	-	7,817	-	-

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ბალანსის დანართი ფორმა N6 ანგარიში არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება				საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
			შემენა		სხვა სახით მიღება		სხვა სახით გასული									
	რაოდენობა	დირებულება	რაოდენობა	დირებულება	რაოდენობა	დირებულება	რაოდენობა	დირებულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკვეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკვეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	35	811,085	11	334,469	12	472,263	6	317,100	379,481	86,494	272,875	20,112	402,490	95,760	286,618	20,112
<i>მათ შორის</i>																
<i>მსუბუქი</i>	<i>24</i>	<i>441,205</i>	<i>8</i>	<i>188,080</i>	<i>6</i>	<i>75,212</i>	<i>4</i>	<i>138,014</i>								
<i>ჯიპები და პიკაპები</i>	<i>8</i>	<i>342,314</i>	<i>3</i>	<i>146,389</i>	<i>6</i>	<i>397,051</i>	<i>1</i>	<i>167,630</i>	<i>379,481</i>	<i>86,494</i>	<i>272,875</i>	<i>20,112</i>	<i>402,490</i>	<i>95,760</i>	<i>286,618</i>	<i>20,112</i>
<i>სატვირთო</i>	<i>3</i>	<i>27,566</i>	<i>-</i>	<i>-</i>	<i>-</i>	<i>-</i>	<i>1</i>	<i>11,456</i>								

დანართი 2 – 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

	2013	2012
აქტივები		
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	-	14,811
სხვა საგადასახადო აქტივი	310	-
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	239,747	4,788
მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	-	13,463,597
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	17,049	16,801
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	11,536	11,536
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები	268,642	13,511,533
არაფინანსური აქტივები		
სხვა მატერიალური მარაგები	220,524	195,470
შენობა-ნაგებობები	15,595,247	15,266,521
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2,132,084	1,949,633
სხვა ძირითადი აქტივები	17,181	11,228
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	-	3,108,478
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	45,200	19,243
არაწარმოებული აქტივები	15,078,444	15,078,444
სულ არაფინანსური აქტივები	33,088,680	35,629,017
სულ აქტივები	33,357,322	49,140,550
ვალდებულებები და კაპიტალი		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	-	14,811
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	11,181	-
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	1,255	1,255
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები	12,436	16,066
კაპიტალი		
წმინდა ღირებულება	33,344,886	49,124,484
სულ კაპიტალი	33,344,886	49,124,484
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	33,357,322	49,140,550

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ბალანსის დანართი ფორმა N2 ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
ხარჯები	11,638,113	11,638,113	11,169,680	10,504,120	10,504,120	10,802,452	298,332
1.1 შრომის ანაზღაურება	4,920,500	4,920,500	4,897,181	4,502,927	4,502,927	4,502,753	(174)
1.1.1. ხელფასები			4,897,181	4,502,927	4,502,927	4,502,753	(174)
1.2 საქონელი და მომსახურება	6,504,973	6,504,973	6,221,039	5,950,920	5,950,920	5,707,273	(243,647)
1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება			684,986	652,691	652,691	652,555	(136)
1.2.2 მივლინებები			925,146	851,253	851,253	673,787	(177,466)
1.2.3 ოფისის ხარჯები			1,065,955	997,495	997,495	929,503	(67,992)
1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯი			553,666	551,925	551,925	529,145	(22,780)
1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან			11,178	11,178	11,178	1,860	(9,318)
1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა- შენახვის ხარჯები			172,876	172,200	172,200	206,816	34,616
1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			2,807,233	2,714,178	2,714,178	2,713,607	(571)
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	542,153	542,153
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	62,640	62,640	41,510	40,323	40,323	40,323	-
1.7.1 სოციალური დაზღვევა			41,510	40,323	40,323	40,323	-
1.8 სხვა ხარჯები	150,000	150,000	9,950	9,950	9,950	9,950	-
1.8.2 სხვადასხვა ხარჯები			9,950	9,950	9,950	9,950	-
მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნების შესახებ							
მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		ბიუჯეტგარეშე				
	გეგმით	ფაქტიურად	გეგმით	ფაქტიურად			
შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა	149	136					
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	32	34					

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ბალანსის დანართი ფორმა N2-1 ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	ბიუჯეტით დამტკიცებული	დაზუსტებული	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1. არაფინანსური აქტივები	720,000	720,000	632,742	632,560	632,560
1.1 ძირითადი აქტივები			632,742	632,560	632,560
1.1.1 შენობა-ნაგებობები			487,789	487,607	487,607
არასაცხოვრებელი შენობები			487,789	487,607	487,607
1.1.2 მანქანა- დანადგარები და ინვენტარი			136,953	136,953	136,953
სხვა მანქანა- დანადგარები და ინვენტარი			136,953	136,953	136,953
1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები			8,000	8,000	8,000
არამატერიალური ძირითადი აქტივები			8,000	8,000	8,000

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ბალანსის დანართი ფორმა N3 ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება	
ნაშთი 31/12/2013	49,124,484
სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(4,502,753)
საქონელი და მომსახურება	(5,707,273)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(542,153)
სოციალური უზრუნველყოფა	(40,323)
სხვა ხარჯები	(9,950)
აქტივების უსასყიდლოდ გასვლა, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	(17,018,899)
სხვა ეკონომიკური ნაკადები	(6,788)
სულ სადებეტო ბრუნვა	(27,828,139)
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	11,136,680
აქტივების უსასყიდლოდ მიღება, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	905,019
სხვა ეკონომიკური ნაკადები	6,842
სულ საკრედიტო ბრუნვა	12,048,541
წმინდა ღირებულების ცვლილება	(15,779,598)
ნაშთი 31/12/2014	33,344,886

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ბალანსის დანართი ფორმა N5 ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

მიღება						გასვლა						
არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი 31/12/2014	შესყიდვით	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	დანაკლისის აღდგენით	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ	დანაკლისებით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონლის და მომსახურების გამოყენება	ნაშთი 31/12/2015
ძირითადი აქტივები												
შენობა-ნაგებობები	15,266,521	487,607	-	-	-	-	-	-	-	158,881	-	15,595,247
არასაცხოვრებელი შენობები	15,266,521	487,607	-	-	-	-	-	-	-	158,881	-	15,595,247
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	1,949,633	136,953	873,157	636	-	446,824	247	-	-	381,224	-	2,132,084
სატრანსპორტო საშუალებები	975,696	-	419,180	-	-	425,533	-	-	-	158,258	-	811,085
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	973,937	136,953	453,978	636	-	21,291	247	-	-	222,967	-	1,320,999
სხვა ძირითადი აქტივები	11,228	8,000	-	-	-	-	-	-	-	2,048	-	17,180
არამატერიალური ძირითადი აქტივები	11,228	8,000	-	-	-	-	-	-	-	2,048	-	17,180
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	3,108,478	-	-	-	-	3,108,478	-	-	-	-	-	-
სულ ძირითადი აქტივები	20,335,860	632,560	873,157	636	-	3,555,302	247	-	-	542,153	-	17,744,511
მატერიალური მარაგები												
სხვა მატერიალური მარაგები	195,470	522,568	845	5,883	44	-	-	176	-	-	504,110	220,524
ფულადი დოკუმენტები	38,556	141,265	-	-	44	-	-	-	-	-	168,095	11,770
სათადარიგო ნაწილები	30,887	1,190	-	-	-	-	-	-	-	-	1,190	30,887
სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	126,027	380,113	845	5,883	-	-	-	176	-	-	334,825	177,867
სულ მატერიალური მარაგები	195,470	522,568	845	5,883	44	-	-	176	-	-	504,110	220,524
სულ გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	19,243	7,234	31,016	-	-	-	-	-	6,519	-	5,774	45,200
არაწარმოებული აქტივები												
მიწა	15,078,444	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	15,078,444
სულ არაწარმოებული აქტივები	15,078,444	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	15,078,444
სულ არაფინანსური აქტივები	35,629,017	1,162,362	905,018	6,519		3,555,302		176	-	548,672	509,884	33,088,882

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ბალანსის დანართი ფორმა N5-1 ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და

ვალდებულებების ცვლილებების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოგება ფლობიდან კრედიტი (8100)	ზარალი ფლობიდან დებეტი (8100)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა კრედიტი (8200)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება დებეტი (8200)
ფინანსური აქტივები				
ვალუტა დეპოზიტები	103	93	-	-
აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	219	176
სულ ფინანსური აქტივები	103	93	219	176

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ბალანსის დანართი ფორმა N6 ანგარიში არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება				საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
			შემენა		სხვა სახით მიღება		სხვა სახით გასული									
	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	33	986,060	-	-	11	431,678	7	585,367	170,830	43,887	123,449	3,494	205,446	45,484	15,604	3,458
მათ შორის																
<i>მსუბუქი</i>	<i>21</i>	<i>597,534</i>	-	-	<i>8</i>	<i>172,515</i>	<i>4</i>	<i>318,480</i>								
<i>ჯიპები და პიკაპები</i>	<i>9</i>	<i>356,981</i>	-	-	<i>3</i>	<i>259,163</i>	<i>3</i>	<i>262,908</i>	<i>170,830</i>	<i>43,887</i>	<i>123,449</i>	<i>3,494</i>	<i>205,446</i>	<i>45,484</i>	<i>15,604</i>	<i>3,458</i>
<i>სატვირთო</i>	<i>3</i>	<i>31,545</i>	-	-	-	-	-	<i>3,979</i>								